

ზოგადი აკრძალვები და შეზღუდვები საერთაშორისო საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

1. ზოგადი დებულებები

1.1. დაუშვებელია ისეთი საფოსტო გზავნილების გაგზავნა, რომლებიც არ შეესაბამებიან მსოფლიო საფოსტო კონვენციისა და რეგლამენტის პირობებსა და მოთხოვნებს. აკრძალულია საფოსტო გზავნილების გაგზავნა თაღლითობის აქტის ხელშესაწყობად, ან გადასახდელი თანხის სრულად გადახდის თავიდან არიდების მიზნით.

1.2. ყველა ქვეყანა ან მათი დანიშნული ოპერატორი უფლებამოსილია, გარდა ქვემოთჩამოთვლილისა, დამატებითი აკრძალვები და შეზღუდვები დააწესოს საკუთარ ქვეყანაში შემავალი საფოსტო გზავნილების შიგთავსის მიმართ. შესაბამისად კონკრეტულ ქვეყანაში საფოსტო გზავნილის გაგზავნისას, ქვემოთჩამოთვლილ აკრძალვებთან და შეზღუდვებთან ერთად ძალაშია კონკრეტული ქვეყნის მიერ დადგენილი მოთხოვნები. (იხ. ლინკი აკრძალული საგნების ქვეყნების მიხედვით)

2. აკრძალვა ყველა კატეგორიის საფოსტო გზავნილის მიმართ

2.1. ქვემოთ ჩამოთვლილი საგნების მოთავსება დაუშვებელია ყველა კატეგორიის საფოსტო გზავნილში:

- 2.1.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის განსაზღვრების შესაბამისად, ან სხვა დანიშნულების ქვეყანაში აკრძალული უკანონო ნივთიერებები;
- 2.1.2. უხამსი ან ამორალური ხასიათის საგნები;
- 2.1.3. კონტრაფაქტული და მეკობრული საგნები;
- 2.1.4. სხვა საგნები, რომელთა შეტანა ან მიმოქცევა აკრძალულია დანიშნულების ქვეყანაში;
- 2.1.5. საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფოსტის თანამშრომლებს ან მოსახლეობას, აზინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო ტექნიკას ან მესამე პირის საკუთრებას.
- 2.1.6 მიმდინარე და პირადი მიმოწერის შემცველი დოკუმენტები, გაგზავნილი იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ გამგზავნს, ადრესატს ან მათთან მცხოვრებ პირებს;

3. სახიფათო ტვირთი

3.1. აკრძალულია სახიფათო ტვირთის ნებისმიერი კატეგორიის საფოსტო გზავნილით გაგზავნა.

3.2. სახიფათო ტვირთებს მიეკუთვნება:

- 3.2.1. ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა, მათ შორის ინერტული ყუმბარები და ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, ასევე ასეთი მოწყობილობების და საგნების მულაჟები;
- 3.2.2. რადიაქტიული ნივთიერებები;
- 3.2.3. ინფექციური ნივთიერებები;
- 3.2.4. ლითიუმის ელემენტები და ლითიუმის ბატარიები (როგორც ცალკე, ასევე მოწყობილობაში მოთავსებული);
- 3.2.5. სხვა საგნები და ნივთიერებები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ან მომავალში შესაძლოა მიენიჭოთ სახიფათო ტვირთის სტატუსი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ცოცხალი ცხოველები

- 4.1. აკრძალულია ცოცხალი ცხოველების გაგზავნა ნებისმიერი კატეგორიის გზავნილით.
- 4.2. წერილობითი კორესპონდენციის გზავნილებში (გარდა დაზღვეული წერილობითი კორესპონდენციისა) გამონაკლისის სახით დასაშვებია:
 - 4.2.1. ფუტკარი, წურბელები და აბრეშუმის ჭიები;
 - 4.2.2. პარაზიტები და მავნებლების გამანადგურებელი მწერები, განკუთვნილი აღნიშნული მწერების კვლევისთვის, თუ ასეთი გზავნილი იცვლება ოფიციალურად აღიარებულ დაწესებულებებს შორის;
 - 4.2.3. დროსოფილის ოჯახის ბუზები, განკუთვნილი ბიოსამედიცინო კვლევისთვის, თუ ასეთი გზავნილი იცვლება ოფიციალურად აღიარებულ დაწესებულებებს შორის.
- 4.3. ამანათებში გამონაკლისის სახით დაშვებულია:
 - 4.3.1. ცოცხალი ცხოველები, რომელთა ფოსტით გაგზავნა ნებადართულია შესაბამისი ქვეყნების საფოსტო რეგულაციებით და/ან დაინტერესებული მხარეების შიდა კანონმდებლობით.

5. კორესპონდენციის გაგზავნა ამანათით

- 5.1. აკრძალულია საფოსტო ამანათით შემდეგი საგნების გაგზავნა:
 - 5.1.1. კორესპონდენცია (საარქივო დოკუმენტების გარდა), რომელიც იცვლება იმ პირთა შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ გზავნილის გამგზავნს, ადრესატს ან მათთან ერთად მცხოვრებ პირებს.

6. მონეტები, ბანკნოტები და სხვა ძვირფასი საგნები

- 6.1. დაუშვებელია მონეტების, ბანკნოტების, ფულის ნიშნების ან წარმოდგენის სასარგებლოდ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების, სამოგზაურო ჩეკის, პლატინის, ოქროს ან ვერცხლის (როგორც ნაკეთობის, ასევე დაუმუშავებელი სახით), ძვირფასი ქვების, საიუველირო ნაწარმის და სხვა ძვირფასი ნივთების გაგზავნა:
 - 6.1.1. წერილობითი კორესპონდენციის სახით, მისი დაზღვევის გარეშე;
 - 6.1.2. ამანათის სახით, მისი დაზღვევის გარეშე.

7. ბეჭდვითი გამოცემები და უსინათლოთათვის განკუთვნილი გზავნილები

- 7.1. ბეჭდვით გამოცემებს და უსინათლოთათვის განკუთვნილ გზავნილებს არ უნდა ახლდეთ ანოტაცია და არ უნდა შეიცავდნენ რაიმე მიმდინარე ან პირადი მიმოწერის შინაარსის დოკუმენტს.
- 7.2. არ უნდა შეიცავდეს რაიმე საფოსტო მარკას, ანაზღაურების ბლანკს, იქნება ეს გაუქმებული თუ არა, ასევე ფულადი ღირებულების შემცველ რაიმე დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გზავნილი შიგთავსის სახით შეიცავს ბარათს, კონვერტს ან შეფუთვას, რომელზეც დაბეჭდილია გამგზავნის ან მისი წარმომადგენლის მისამართი და რომლის უკან დაბრუნების საფასურიც გადახდილია წინასწარ.

8. აკრძალული ნივთების განადგურება

- 8.1. გზავნილები, რომლებიც შეიცავენ 2.1.1; 2.1.2; და 3.2 პუნქტებში დასახელებულ საგნებს, არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარებიან დანიშნულებით გადაზიდვას, ადრესატისთვის ჩაბარებას და ან უკან გამგზავნისთვის დაბრუნებას. თუ გზავნილების ტრანზიტულად გადაზიდვისას, მასში

აღმოჩენილი იქნება 2.1.1 პუნქტში აღნიშნული საგნები, მისი განკარგვა მოხდება ტრანზიტის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. თუ, გადაზიდვისას აღმოჩენილი იქნება 3.2 პუნქტებში განსაზღვრული საგნები, შესაბამისი დანიშნული ოპერატორი უფლებამოსილი იქნება, ამოიღოს ის გზავნილიდან და გაანადგუროს. დანიშნულ ოპერატორს უფლება აქვს გზავნილის დარჩენილი ნაწილი გააგზავნოს დანიშნულების ადგილას და დაურთოს შეტყობინება დაუშვებელი საგნის განადგურების შესახებ.